ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №1

ქ.თბილისი **18.02.2016**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა აბულაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე; (შემდგომში - თავმჯდომარე)
ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი; (შემდგომში - მდივანი)
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი;
ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი;
ქეთევან ჭკუასელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;
ნინო კოდუა - სსიპ - ქალაქ თბილისის #55 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ ზაალიშვილი -დირექტორის მოადგილე;
ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ქეთევან ბექერ - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
მარიამ შოშიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

კახა დავითური - შპს მწვანე სკოლის დირექტორი;
ცირა ქასრაძე - შპს მომავლის სკოლის დირექტორი;
იზოლდა ტაკიძე - შპს სკოლა-ნიკეს დირექტორი;

რუსუდან მანელიშვილი - ა(ა)იპ - ქობულეთის წმიდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრის წარმომადგენელი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

ნინო ფეტვიაშვილი;
პაატა ჩორგოლაშვილი;
ნელი ნასყიდაშვილი;
ზურაბ ჩხიკვაძე;
ნოდარ ანგურიძე;
ნინო ბალანჩივაძე.

სხდომა დაიწყო 15:46 საათზე. თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ არ იყვნენ უფლებამოსილნი თავი შეეკავებინათ ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის მწვანე სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს მომავლის სკოლისთვის (ბათუმი) ს/კ: 445412107 მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს სკოლა-ნიკეესთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ქობულეთის წმიდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
5. შპს ცოდნა - ნათელა მურადაშვილში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღიდან შემოსული იყო განცხადება (ცენტრში რეგისტრაციის №137394) საკითხის მომდევნო სხდომაზე გადადების თაობაზე, რადგან ვერ მოახერხებდნენ სხდომაზე დასწრებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან, ქალბატონ ლია გიგაურთან შეხვედრის გამო. ასევე, სხდომას არ ესწრებოდნენ შპს „ცოდნა - ნათელა

მურადაშვილის“ წარმომადგენლები, რის გამოც, აღნიშნული ორი საკითხის გადადების შუამდგომლობით მიმართა საბჭოს წევრებს.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს ახალი დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის მწვანე სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს მომავლის სკოლისთვის (ბათუმი) ს/კ: 445412107 მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს სკოლა-ნიკესთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ქობულეთის წმიდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

1. შპს თბილისის მწვანე სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლევან მადათოვმა განმარტა დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების საფუძვლები. მან აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის, ასევე ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტებიდან (შემდგომში - სამინისტრო) შემოსული იყო კორესპონდენციები (ცენტრში რეგისტრაციის №1046221 და №1068492) რომელიც ეხებოდა შპს თბილისის მწვანე სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივ განცხადებას. განცხადებაში რამდენიმე საკითხი ფიქსირდებოდა, საკითხი ეხებოდა შპს თბილისის მწვანე სკოლის მიერ საპრივატიზებო პირობების შესრულების საკითხს, ასევე სკოლაში გაცდენებთან დაკავშირებით დაზესებულ ჯარიმას, ამასთან, წერილით ირკვეოდა, რომ მესაკუთრეები აპირებდნენ სკოლის საკუთრებაში არსებული მწვანე ნარგავებით გაშენებული ტერიტორიის გასხვისებას და მრავალსართულიანი შენობების აშენებას. ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ ცენტრმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლა საკითხი და ექსპერტთა დასკვნის წარმოდგენამდე, საბჭოს წევრებს გააცნო ცენტრის მიერ შესწავლილი ინფორმაცია. ლევან მადათოვმა ასევე აღნიშნა, რომ სამინისტრომ განმცხადებელს აცნობა სამინისტროს პოზიცია №1094999 კორესპონდენციით.

„პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 23 ივნისის №23/06/04 განკარგულების თანახმად, შპს თბილისის მწვანე სკოლას გადაეცა მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები (საკადასტრო კოდი: 01.13.027.002), საპრივატიზებო პირობებად *<u>გარდა სხვა პირობებისა,</u>* განისაზღვრა საპრივატიზებო თანხის გადახდა 2011 წლის 1 ნოემბრამდე და გადაცემული ქონების *<u>მუდმივად ზოგადსაგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენება და მისთვის საგანმანათლებლო პროფილის შენარჩუნება.</u>* იქიდან გამომდინარე, რომ შეძენილი ქონება წარმოადგენდა საჯარო სკოლას, ვალდებულებად ასევე განისაზღვრა გადაცემულ ქონებაში არსებული საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის უსასყიდლოდ სწავლის უზრუნველყოფა (გარდა საჯარო სკოლის ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერული დაფინანსებისა). ზემოაღნიშნულ ფართზე ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, შპს თბილისის მწვანე სკოლამ 2011 წელსვე მომართა ცენტრს საავტორიზაციო განაცხადით, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 სექტემბრის №308 გადაწყვეტილებით შპს თბილისის მწვანე სკოლას 5 წლის ვადით მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები) და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1200-ით. რაც შეეხებოდა მიწის ნაკვეთის გასხვისებისა და მშენებლობის საკითხს, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებათა რეგისტრაციის გვერდიდან https://naprweb.reestri.gov.ge/ ირკვევა, რომ შპს თბილისის მწვანე სკოლამ, 2012 წლის 25 სექტემბრის №882012935412 განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.027.002; 14980 კვ.მ) დაყოფის მოთხოვნით, სააგენტოს

882012935412-03 გადაწყვეტილებით მოხდა მიწის ნაკვეთის დაყოფა 2 საკადასტრო ერთეულად 01.13.027.005 და 01.13.027.006-ად. 01.13.027.005 საკადასტრო კოდით არსებულ მიწის ნაკვეთი განისაზღვრა 11689 კვ.მ-ით და მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით (სკოლა), ხოლო 01.13.027.006 საკადასტრო კოდით არსებული მიწის ნაკვეთი 3291 კვ.მ-ით. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 9 ოქტომბრის № 4/1038 წერილის საფუძველზე, მოხდა ვალდებულების მოხსნა 01.13.027.006 საკადასტრო კოდით არსებულ მიწის ნაკვეთზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურში 2015 წლის 4 აგვისტოს შეტანილი იყო AR1331998 განცხადება 01.13.027.006 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მოთხოვნით, რაზეც სამსახურის მიერ 2015 წლის 27 აგვისტოს №2262156 ბრძანებით უარი ეთქვა განმცხადებელს პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვაზე. ამასთან ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების სრულად შენაჩუნების და ამის გათვალისწინებით დამუშავებული პროექტის შესაბამისი განცხადების საფუძველზე წარმოდგენის შემთხვევაში თბილისის არქიტექტურის სამსახური დაუბრუნდებოდა საკითხის განმეორებით განხილვას.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ აღნიშნეს, რომ მიწის ნაკვეთის გამიჯვნასა და მშენებლობის საკითხზე საბჭო ვერ იმსჯელებდა, რადგან სცდებოდა მათი უფლებამოსილების საკითხს, ამასთან დასძინეს, რომ წარმოდგენილი ინფორმაციით შპს მწვანე სკოლას გამიჯნული მიწის ფართობი შეეძლო ისე განეკარგა როგორც მათ სურდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ნინო ფეტვიაშვილმა და დაადასტურა ლევან მადათოვის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, ასევე ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ სხვა გარემოებებზე.

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 23 ივნისის N23/06/04 განკარგულებაში და შემდგომ, საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 7 მაისის N07/05/04 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განსაზღვრული იყო საპრივატიზაციო პირობები, რომლის თანახმად 8 წლის განმავლობაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით, უნდა მომხდარიყო პირველკლასელთა ჩარიცხვა და მათი უსასყიდლოდ სწავლის უზრუნველყოფა (გარდა ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერული დაფინანსებისა) საშუალო საფეხურის დასრულებამდე. ამას გარდა დაწესებულებამ წარმოადგინა აუდიტორული დასკვნები წლების მიხედვით (2011 წლიდან 2015 წლის ჩათვლით) შპს თბილისის მწვანე სკოლის მიერ 2011 წლის 27 ივნისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ. ბოლო აუდიტი ჩატარდა და დასკვნა წარმოდგენილია 2015 წლის 12 ოქტომბერს, რომელშიც დგინდება, რომ თბილისის მწვანე სკოლის მიერ 2011 წლის 27 ივნისს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.2; 3.1.3 და 3.1.4 პუნქტების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებები 2015-2016 სასწავლო წლის დასწყისისთვის შესრულებულია.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ ექსპერტებს მიმართა, დარჩენილი ფართი თუ აკმაყოფილებდა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას შენობა-ნაგებობებას ფართი არ მოკლებია, ხოლო გამიჯნული ნაწილი მდებარეობდა სკოლის უკანა მხარეს.

საბჭოს წევრმა, ირინა ხანთაძემ, დაწესებულებას რეკომენდაციით მიმართა, რომ სახელწოდებიდან გამომდინარე, კარგი იქნებოდა, მწვანე სკოლას შეენარჩუნებინა „მწვანეს“ სახელი.

საბჭოს წევრი, რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, რა იყო ფართის დაყოფის საფუძველი.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული პირობები მუდმივი საგანმანათლებლო მიზნებისთვის მძიმე იყო, რეაბილიტაციას საჭიროებდა სრული ფართი, რაც დიდ თანხებს უკავშირდებოდა. იქიდან გამომდინარე, რომ საკუთარი სახსრებით სარემონტო სამუშაოებს ვერ დააფინანსებდნენ, ბანკიდან კრედიტი აიღეს. აღნიშნული ტერიტორიის ლიკვიდურობა დაბალი იყო, რადგან მუდმივად უნდა ყოფილიყო დატვირთული ვალდებულებით, ეს წარმოადგენდა პრობლემას კრედიტთან მიმართებით, ამიტომ სესხის ნაწილი აიღეს პირველ წელს, ხოლო როდესაც თანხის დამატება დასჭირდათ, ბანკმა აღარ დააკმაყოფილა განაცხადი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სწორედ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად გაათავისუფლეს ტერიტორია. ამასთან სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში ვალდებულების მოსახსნელად შესაბამისი თანხაც გადაიხადეს.

საბჭოს წევრი, ირინა ხანთაძე დაინტერესდა, გამიჯნული ფართის გაყიდვას თუ აპირებდნენ. სკოლის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ თავდაპირველად, მიზანი იყო კრედიტის ასაღებად ფართის ლიკვიდურობის გაზრდა, თუმცა როდესაც გაჩნდნენ ინვესტორები, რომლებმაც მზადყოფნა გამოთქვეს ისეთი ამოცანების გადაჭრისთვის, როგორიც იყო სპორტული დარბაზის აშენება, მეორე სართულის გამართვა, სკოლის წარმომადგენლობა თანახმა იყო, გაეყიდა ეს მიწა.

თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ, ექსპერტს მიმართა გაეცნო ვიზიტის დროს დაფიქსირებული სხვა ძირითადი საკითხები.

ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა, აღნიშნა, რომ საჩივარს ჰქონდა მეორე ნაწილი, რაც ეხებოდა სკოლაში საჯარიმო სანქციების გატარებას, კერძოდ, დაგვიანების შემთხვევაში, მოსწავლე ჯარიმდებოდა 22 ლარის ოდენობით. დოკუმენტების გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სკოლის შინაგანაწესში მოცემულია მასწავლებლის, მოსწავლეთა და მშობელთა უფლება–მოვალეობები. სანიმუშო ყოფაქცევის, სწავლაში მიღებული წარმატებისათვის გამოყენებულია წახალისების სხვადასხვა ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით/სერტიფიკატით, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება. მოსწავლის მიმართ დისციპლინური დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი დისციპლინური სახდელები: გაფრთხილება, საყვედური, გაკვეთილიდან გაძევება, სკოლიდან დროებით დათხოვნა, სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება, სკოლიდან გარიცხვა, საჯარიმო სანქციები, რაც შინაგანაწესის დანართშია დაკონკრეტებული. მასწავლებლებთან, (ფასიანი და უფასო კლასების) მოსწავლეებთან და დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში არის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. მოსწავლეების განმარტებით მათი უფასო სექტორის მოსწავლეებთან თანაცხოვრება 2011 წელზე ბევრად უფრო ადრე დაიწყო, მაშინ როდესაც არ არსებობდა მწვანე სკოლა. მათი განმარტებით სკოლაში მოსწავლეების რაიმე ნიშნით დისკრიმინაციას ან ჩაგვრას ადგილი არ აქვს. მონიტორინგის ჯგუფი შეხვდა ისეთ მოსწავლეებსაც, რომლებსაც ორივე სექტორზე სწავლის „გამოცდილება“ ჰქონდათ. მათი განმარტებით ორივეგან ზოგჯერ ერთი და იგივე მასწავლებლები ასწავლიან. განსხვავება ზოგჯერ მოსწავლეთა რაოდენობაშია.

რაც შეეხება საჯარიმო სანქციებს, დირექციის განმარტებით, ამ ხერხით მათ მოაგვარეს დაგვიანების პრობლემა. დაგვიანებები უფრო ხშირად შეინიშნებოდა ფასიანი მოსწავლეების მხრიდან, რადგანაც ისინი სხვა უბნების მაცხოვრებლები იყვნენ. უფასო სექტორის მოსწავლეები დიღმის მასივში ცხოვრობენ, ამიტომ ისინი, როგორც წესი, არ აგვიანებენ. მათივე განმარტებით მშობლის გაფრთხილების ან დარეკვის შემთხვევაში დაგვიანება ითვლება საპატიოდ. ამ სანქციების შემოღების შემდეგ დაგვიანებები მინიმუმამდეა იყო მიყვანილი. ამას გარდა დირექციამ წარმოადგინა მშობლის განცხადება (დაგვიანების შესახებ) და გადარიცხული ჯარიმების ნუსხა (ჩარიცხვები), ამ სიის ყველა მოსწავლე ფასიანი სექტორის წარმომადგენელი

იყო. საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა, ეს მხოლოდ კერძო სკოლის ნაწილზე ვრცელდებოდა თუ საჯაროს ნაწილზეც.

ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა განაცხადა, რომ შინაგანაწესი, პროგრამები, ცხრილები საერთო ჰქონდათ, მშობლებთან გასაუბრებითაც დადასტურდა, რომ განსხვავება ამ ორ სექტორს შორის არ იყო. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შინაგანაწესით გათვალისწინებული იყო დაგვიანების შემთხვევაში 22 ლარით დაჯარიმება, ასევე ექსპერტებმა გამოითხოვეს იმ მოსწავლეების გვარები, რომელთაც დაეკისრათ აღნიშნული სანქცია, თუმცა ამ ჩამონათვალში არცერთი არ იყო საჯარო სკოლის მოსწავლე. ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლა არ აჯარიმებდა მოსწავლეებს იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლები რეკავდნენ და აფრთხილებდნენ დაგვიანების შესახებ.

თავმჯდომარე, ირინა აბულაძე დაინტერესდა, მშობლებთან დადებული ხელშეკრულება თუ მოიცავდა ჯარიმის შესახებ ინფორმაციას, ექსპერტმა დაადასტურა, რომ ხელშეკრულება მოითხოვდა შინაგანაწესის გაცნობას, შესაბამისად, მშობელი ინფორმირებული უნდა ყოფილიყო სანქციის შესახებ.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პრაქტიკა ემსახურებოდა არა ფინანსურ მოგებას, არამედ დაგვიანებების რაოდენობის აღმოფხვრას, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა დოკუმენტი, სადაც ჩანდა, რომ პირველ დღეებში დაფიქსირებული დაგვიანებების რაოდენობა გაცილებით მეტი იყო ბოლო დროინდელ მონაცემებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სანქციების შემოტანამ შედეგი გამოიღო და თითქმის აღარ იგვიანებდნენ ბავშვები სკოლაში. მან დაამატა, რომ ქართულ სკოლებში 5-10%-ით დაგვიანება ჩვეულებრივ მაჩვენებლად ითვლებოდა მაშინ, როდესაც, მაგალითად გერმანიაში, ეს ნიშნული 1%-ს არ აღემატებოდა. მისი თქმით, სწორედ ეს იყო მიზეზი, დაეწესებინათ ჯარიმა, თუმცა ამავდროულად, ითვალისწინებდნენ ისეთ მდგომარეობასაც, როდესაც საცობების გამო მოძრაობა გადატვირთული იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ პრაქტიკამ უკვე გამოიღო შედეგი, შესაბამისად, მისი გაუქმებაც არ წარმოადგენდა პრობლემას.

საბჭოს წევრი, ირინა ხანთაძე, დაინტერესდა თუ ეწინააღმდეგებოდა მსგავსი რეგულაცია რაიმე ნორმატიულ აქტს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული სტანდარტებს არ ეწინააღმდეგებოდა.

ამასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მეტი პასუხისმგებლობით იყო განმსჭვალული, მეტად უფრთხილდებოდნენ მატერიალურ რესურსებს და ამის გამო არ აგვიანებდნენ.

ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამულ ნაწილში შენიშვნები არ იყო, სხვა მხრივ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისთვის განკუთვნილი სველი წერტილის შესასვლელი კარი იყო ვიწრო, რის გამოც, ეტლით შეუძლებელი იყო შესვლა, და ცენტრალურ შესასვლელში დამონტაჟებული კამერის განთავსების ადგილი არ შეესაბამოდა შესაბამის სტანდარტს, ბიბლიოთეკაში ყველა წიგნს არ ჰქონდა დარტყმული ბეჭედი. ნინო ფეტვიაშვილმა დაამატა, რომ წიგნების სრული რაოდენობა ვერ დადგინდა, რადგან ნაწილი ამ წიგნებისა საჯარო სკოლას გადაეცა. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც ინახება წიგნადი ფონდი. სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა აღრიცხულია ელექტრონულად და საინვენტარო ჟურნალში, თუმცა არ არის ლიტერატურის სრული ჩამონათვალი, შესაბამისად ვერ ირკვევა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების რაოდენობა. შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა წიგნები. გაირკვა, რომ ზოგიერთი წიგნი არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით, კერძოდ არ აქვს სკოლის (მწვანე სკოლის) ბეჭედი ან სწორად არ აქვს მინიჭებული ნომერი. ამ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლის დირექციის განმარტებით ლიტერატურის ძირითადი ნაწილი 134-ე სკოლის შესყიდვის პერიოდში გადმოეცათ, არ იყო წიგნების ზუსტი ჩამონათვალი, ზოგიერთი წიგნი ჩამოსაწერია. თუმცა, უნდა

აღინიშნოს, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში მიმდინარეობდა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება.

რაც შეეხება სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, სრულად იყო წარმოდგენილი კლასებისა და საგნების მიხედვით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იმ კატეგორიისათვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას სასწავლო პროცესში შეუფერხებელი ჩართვის მიზნით, როგორც სკოლის შენობების შესასვლელებში ასევე შენობის პირველიდან მესამე სართულამდე გადასაადგილებლად მოწყობილია პანდუსები.

სკოლას აქვს სველი წერტილები, რომელიც განკუთვნილია სსსმ მოსწავლეებისათვის, თუმცა შესასვლელი კარი ძალიან ვიწროა, რაც ეტლით შესვლას შეაფერხებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესასვლელი კარი გააფართოვეს და დადასტურების მიზნით, სხდომაზე შესაბამისი ფოტოები წარმოადგინეს.

ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულებას ორივე სასწავლო კორპუსში აქვს 53 საკლასო ოთახი, აღჭურვილი შესაბამისი რაოდენობის დაფებით, 889 ერთადგილიანი და 55 ორადგილიანი მერხით და შესაბამისი რაოდენეობის სკამით. მერხების რაოდენობა ავტორიზაციით დადგენილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას არ შეესაბამება. თუმცა დირექციის განმარტებით მერხების ნაწილი ჩამოწერილია და მზადდება ხელშეკრულება ახალი მერხების დასამზადებლად. დოკუმენტების გადამოწმებით დღევანდელი მდგომარეობით სკოლაში სწავლობს 840 მოსწავლე.

საბჭოს წევრმა, ირინა ხანთაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, წინა ავტორიზაციის დროს თუ იყო იმდენი მერხი, რამდენიც განსაზღვრულ კონტინგენტს შეესაბამებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამ თვეში ერთხელ 100-100 მერხს იმატებდნენ, რადგან დროთა განმავლობაში ზოგი იმტვრეოდა ან ზიანდებოდა. ამასთან წარმოდგენილ იქნა 2015 წლის 16 დეკემბრის #38 ხელშეკრულება ინდ.მეწარმე ანზორ თურქიაშვილთან რომლითაც შპს თბილისის მწვანე სკოლას მიეწოდებოდა 315 სკამი და 315 მერხი, ეტაპობრივად 2016 წლის 1 მარტამდე, 31 მარტამდე და 20 აპრილამდე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყოველ წელს, სწავლის დაწყებიდან გარკვეულ ვადაში, სკოლას ეკონომიკის სამინისტროსგან ჰქონდა ვალდებულება, წარედგინა აუდიტორული დასკვნა, რომელზეც ეკონომიკის სამინისტრო მიმართავდა განათლების სამინისტროს, იმის დასადასტურებლად, რომ ყველაფერი წესრიგში იყო და სამინისტროს არ ჰქონდა შენიშვნები.

საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე დაუბრუნდა ჯარიმების საკითხს და აღნიშნა, რომ ნამდვილად ეფექტური რეგულაცია იყო, თუმცა „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებით, შესაძლოა დამდგარიყო სიტუაცია, როდესაც სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს შეეხებოდათ აღნიშნული სანქცია და დარღვეული იქნებოდა თანასწორობის პრინციპი. შესაბამისად, მან დაწესებულებას რეკომენდაციით მიმართა, გაეუქმებინათ აღნიშნული პრაქტიკა.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაგვიანება შინაგანაწესის დარღვევა იყო და თუ მერხის, ან სკამის დაზიანება ექვემდებარებოდა მშობლების მხრიდან ანაზღაურებას, ამ შემთხვევაში, განსხვავება არ უნდა ყოფილიყო. ხათუნა ბარაბაძემ უპასუხა, რომ მერხების დაზიანება მატერიალურ ზარალს წარმოადგენდა, განსხვავებით დაგვიანებისგან.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი აზრით, დაგვიანება უფრო მძიმე ზარალის მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან მომავალ თაობებს ზრდიდნენ და საჭირო იყო, პუნქტუალობას შეჩვეულიყვნენ.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, დაგვიანების შემთხვევაში გაკვეთილზე თუ უშვებდნენ მოსწავლეს. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 2-3 წუთიანი „ლუფტი" ისედაც იყო

გათვალისწინებული, საუბარი იყო 5 წუთზე მეტი დროით დაგვიანებაზე, რაც გამოწვეული იყო მშობლის უპასუხისმგებლობით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მწვანე სკოლისთვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მწვანე სკოლის (ს/კ: 401959528) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

16:15 წუთზე სხდომას შემოუერთდა გიორგი გიგიბერია.

2. შპს მომავლის სკოლისთვის (ს/კ: 445412107) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლევან მადათოვმა განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მომდევნო სამ საკითხთან დაკავშირებით დაფიქსირდა ერთიდაიგივე პრობლემა, კერძოდ, ცენტრისთვის 2015 წლის ოქტომბერში ცნობილი გახდა, რომ გარკვეულ სკოლებში იყო იმაზე მეტი მოსწავლე ვიდრე ეს ავტორიზაციის შესაბამისი გადაწყვეტილებით იყო დადგენილი, ზემოაღნიშნული დადასტურებული იყო ასევე სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებითაც. ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ თანახმად, კონტინგენტის გადაჭარბება იყო ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი. ზოგიერთმა სკოლამ პარალელურად შემოიტანა განაცხადი კონტინგენტის გაზრდის შესახებ. ლევან მადათოვმა საბჭოს მოახსენა, რომ მომდევნო სხდომაზეც მიაწვდიდა საბჭოს ინფორმაციას იმ ტიპის სკოლების შესახებ სადაც ფიქსირდება ზღვრული ოდენობის გადაჭარბება. რაც შეეხებოდა შპს მომავლის სკოლას, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 18 სექტემბრის №285 გადაწყვეტილებით მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 200-ით. ოქტომბრის თვეში ფიქსირდებოდა გადაჭარბება, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2015 წლის 18 და 19 დეკემბერს. ვიზიტის პერიოდში გადაჭარბება აღარ დაფიქსირდა, თუმცა ამ ეტაპზე სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით, სკოლას კვლავ უფიქსირდებიდა ზღვრული კონტინგენტის გადაჭარბება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს რომ წარმოედგინა დაწესებულების პოზიცია ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სექტემბრის თვეში, მეცხრეკლასელების მშობლებმა შემოიტანეს განცხადება ბავშვების გადაყვანის მიზნით, შემოწმების დროს, ვაუჩერების გადარიცხვისას აღმოჩნდა, რომ განსაზღვრულ კონტინგენტზე 31 მოსწავლით მეტი ჰყავდა სკოლას, ეს ხარვეზი 15 დღის განმავლობაში გაასწორეს, ხოლო ოქტომბერში, ცენტრს მიმართეს თხოვნით კონტინგენტის გაზრდის თაობაზე. ვიზიტის პერიოდში სკოლას 199 მოსწავლე ჰყავდა.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასკვნა ჩაბარდა 2015 წლის 25 დეკემბერს, გამომდინარე იქიდან, რომ დასკვნაში შენიშვნები არ ფიქსირდებოდა და სკოლაში შემოსული იყო მშობელთა დიდი რაოდენობის განცხადებები, ისევ მიიღეს მოსწავლეები 20 იანვარს (სულ 33).

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ მეორეჯერ იგივე შეცდომის დაშვება უკვე მიზანმიმართული ქცევა იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს მისი შეცდომა იყო და განაცხადა რომ არც ვაუჩერი ჰქონდა ჩარიცხული ზედმეტ მოსწავლეებზე.

საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ ვაუჩერი ირიცხებოდა 25 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, სკოლას ჩაერიცხებოდა ვაუჩერი. მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, როდის ამოირიცხნენ მოსწავლეები სექტემბერში.

სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოსწავლეები 12 სექტემბერს ამორიცხეს.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ სკოლას არ ჰქონდა უფლება მიეღო ახალი მოსწავლეები, სანამ არ წავიდოდნენ ძველი ბავშვები. განცხადება უკვე წარმოადგენდა ამორიცხვის საფუძველს, შესაბამისად, სკოლამ შეგნებულად გადააჭარბა კონტინგენტს.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მშობლებმა განცხადებები ამ სკოლაში დაწერეს, თუმცა მიმღებ სკოლებში ბავშვების გადაყვანის შესახებ მოთხოვნა არ შეუტანიათ.

ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა, როდის იყო განცხადება დაწერილი და როდის მიიღეს ზედმეტი მოსწავლეები. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 25 აგვისტოს შემოიტანეს მშობლებმა მოთხოვნა, ხოლო ბაზაში 20 სექტემბრამდე გასწორებული იყო მონაცემები.

სკოლაში ვიზიტზე იმყოფებოდნენ ექსპერტები ნელი ნასყიდაშვილი და ზურაბ ჩხიკვაძე. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სკოლის კონტინგენტი განსაზღვრული იყო 200 მოსწავლით, სკოლას ჰქონდა 20 საკლასო ოთახი, ვიზიტის პერიოდში ირიცხებოდა 199 მოსწავლე, არც სარეგისტრაციო წიგნში და არც ბაზაში ზედმეტობა არ ფიქსირდებოდა. სკოლას ჰქონდა 280 სკამი და 295 მერხი და 10 კომპიუტერი. 10 კომპიუტერი არ იყო საკმარისი კონტინგენტის 300-მდე გაზრდის შემთხვევაში.

სკოლას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ფიზიკურ პირთან, მერაბ კაკაბაძესთან (ს.კ 61001013141) 5 ცალ სასკოლო მერხისა და 20 ცალ სასკოლო სკამის დამზადებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გამყიდველი ვალდებული იყო გადაეცა მყიდველსისათვის დამზადებული ინვენტარი 2015 წლის 18 დეკემბრამდე.

საბჭოს წევრი, გიორგი გიგიბერია დაინტერესდა ამჟამად რამდენი ბავშვით იყო გადაჭარბებული განსაზღვრული კვოტა. ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ სკოლას ერიცხებოდა 46 - ით მეტი მოსწავლე.

საბჭოს წევრმა, ირინა ხანთაძემ აღნიშნა, რომ სკოლას მეორეჯერ მოუწევდა მოსწავლეების გაშვება და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რატომ დააყენა ბავშვები ამ საშიშროების წინაშე.

სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მას შეცდომა მოუვიდა და ათვითცნობიერებდა მომხდარს.

საბჭოს წევრებმა გაკვირვება გამოხატეს იმასთან დაკავშირებით, რომ ბათუმში არსებული სკოლების დიდ ნაწილს ჰქონდა იგივე პრობლემა და გადაჭარბებული იყო განსაზღვრული კონტინგენტი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მომავლის სკოლისთვის (ს/კ:445412107) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 331 მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს მომავლის სკოლას (ს/კ: 445412107) უარი ეთქვას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე.

ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ ის მხარს უჭერდა დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხს და სთხოვა სხდომის თავჯდომარეს დღის წესრიგში კენჭსაყრელად დაეყენებინა დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი, რადგან სკოლამ მიზანმიმართულად დაარღვია კანონი - მეორეჯერ ჩარიცხა ბავშვები უკანონოდ, თანაც მანამდე, სანამ განცხადებას დაწერდნენ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მომავლის სკოლისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 5

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს რომ იმ შემთხვევაში თუ სკოლა 1 კვირის ვადაში არ გამოასწორებდა ხარვეზს, მომდევნო სხდომაზე დადგებოდა დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი. საბჭოს წევრებმა სთხოვეს ცენტრს რომ გაეკონტროლებინა აღნიშნული პროცესი.

რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ მსგავსი სიტუაცია დაუშვებელი იყო და აუცილებელი იყო სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში საკითხის დაყენება, რათა ბაზას არ მიეცა სკოლებისთვის საშუალება კონტინგენტზე მეტი მოსწავლის ჩარიცხვისა.

ლევან მადათოვმა აღნიშნა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 11 თებერვლის №13/ნ/№29 ერთობლივი ბრძანებით, დამტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ვაუჩერის გაცემისა და გადატანის განახლებული წესი. ამასთან, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა მიაწვდიდა ცენტრს ინფორმაციას ზღვრული ოდენობების გადაჭარბების შესახებ.

3. შპს სკოლა-ნიკესთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ნოდარ ანგურიძემ და ნინო ბალანჩივაძემ, მათ აღნიშნეს, რომ სკოლას 2012 წელს, საბჭოს გადაწყვეტილებით კვოტა განესაზღვრათ 250 მოსწავლით, ამჟამად კი გადაჭარბება ჰქონდად 129 მოსწავლით, ანუ ჯამში ჰყავდათ 379 მოსწავლე. სკოლის მიერ ამჟამად მოთხოვნილი იყო კონტინგენტის გაზრდა 400 მოსწავლემდე.

დღევანდელი მდგომარეობით სკოლაში სწავლობს 379 მოსწავლე (დანართი N3 - ამონაბეჭდი სკოლის მოსწავლეთა ელექტრონული ბაზიდან, რვა ფურცლად), რითაც სკოლას დარღვეული აქვს ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 18 იანვრის N12 გადაწყვეტილების მოთხოვნები, რომლითაც მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრული იყო 250-ით. ამასვე ატყობინებდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2015 წლის 14 დეკემბრის წერილით (MES 2 15 01 30 4225). კერძოდ სამინისტრო სკოლას აცნობებს, რომ 2012 წლის ოქტომბრიდან სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლას სხვადასხვა დროს უფიქსირდება ზღვრულ ოდენობაზე მეტი მოსწავლეთა რაოდენობა და ამ პერიოდის განმავლობაში ზედმეტად მიღებული ვაუჩერის ოდენობა ექვემდებარება დაუყოვნებლივ უკან დაბრუნებას. (დანართი N4 განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი MES 2 15 01304225. 14/12/2015 წელი) სკოლა თავის საპასუხო წერილში აღნიშნულ ვითარებას ხსნის (დანართი N5 და სკოლა-ნიკეს საპასუხო წერილი 01-14/101, 21 დეკემბერი 2015) იმით, რომ მას ვალდებულება ჰქონდა აღებული აჭარის ა/რ ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომ ააშენებდა არანაკლებ 350 მოსწავლეზე გათვლილ სკოლას და ამ ვალდებულების დაკმაყოფილების გამო მოხდა მოსწავლეთა რაოდენობის გადაჭარბება. რაც შეეხება ზედმეტად მიღებული ვაუჩერის უკან დაბრუნებას, სკოლა ითხოვს მის ეტაპობრივად დაბრუნებას.

სამინისტრომ ამასთან დაკავშირებით, სკოლას წერილი მისწერა, ზედმეტად ჩარიცხული თანხის უკან დაბრუნების შესახებ, სკოლამ სამინისტროს სთხოვა, რომ თანხას გრაფიკის მიხედვით დაფარვდა.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სხვა დარღვევა სკოლას არ უფიქსირდებოდა. ერთადერთი პედაგოგი იყო, რომელიც არ ჩართულა მასწავლებელთა სქემაში; სკოლა აღჭურვილი იყო 20 კომპიუტერით.

მასწავლებელთა უმრავლესობა მაგისტრი ან ბაკალავრია. ამასთანავე, სკოლაში მუშაობს ორი დოქტორი. ამ ეტაპზე ყველა მასწავლებელი, გარდა ერთი პედაგოგისა, სქემაშია ჩართული. დაწესებულების ადმინისტრაციას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მათემატიკის პედაგოგთან, ხათუნა ჩხიკვაძესთან, რომელიც ჯერჯერობით არ არის ჩართული მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების ადმინისტრაციამ მიმართა განათლების სამინისტროს, ნება დართოს პედაგოგს,

ხათუნა ჩხიკვაძეს, ჩაერთოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.

აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, დაწესებულებას 2012 წელს გამოეყო ფართი, იმ პირობით, რომ 2014 წლისთვის დაასრულებდნენ შენობის რემონტს და სკოლა გათვლილი იქნებოდა 350 მოსწავლეზე. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ავტორიზაცია მიღებული ჰქონდათ 2012 წელს, შენობა კი იგივე დარჩა, უბრალოდ ტერიტორია დაემატათ.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რატომ გაზარდა სკოლის წარმომადგენლობამ წინასწარ მოსწავლეების ზღვრული ოდენობა.

სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოსწავლეები 2014-2015 წელს მიიღეს.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ აღშფოთება გამოთქვა სკოლის თვითნებურ ქცევაზე, მისთვის გაუგებარი იყო, რატომ დროულად არ მიმართეს ცენტრს განცხადებით კონტინგენტის გაზრდასთან დაკავშირებით. რევაზ აფხაზავას დაეთანხმა ხათუნა ბარაბაძე და დაამატა, რომ სანამ შენობა ექსპლუატაციაში არ შევიდოდა, მანამდე მთავრობასთან არანაირი ვალდებულება არ ჰქონდა სკოლას, მან განაცხადა, რომ მისთვის მიუღებელი იყო ამ ვალდებულების მოშველიება სიტუაციიდან თავის მართლების მიზნით.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საუბარი იყო ბათუმზე და უამრავი მშობლის თხოვნის საფუძველზე ჩარიცხა მოსწავლეები.

რევაზ აფხაზავამ ამაზე მიუგო, რომ პირველ რიგში კანონის მოთხოვნები უნდა დაეცვათ და არგუმენტები მეტყველებდნენ იმაზე, რომ ეს იყო განზრახული ქცევა. მან აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა 100%-იანი გარანტია, რომ შენობა შევიდოდა ექსპლუატაციაში.

საბჭოს წევრი ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა რემონტიან შენობაში რა საფუძვლით მიიღეს მოსწავლეები, სარეაბილიტაციო მდომარეობაში მყოფი გარემო არ იყო უსაფრთხო.

საბჭოს წევრმა ირინა ხანთაძემ აღნიშნა, რომ სკოლას უნდა მოემართა ცენტრისთვის მოწავლეების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე თავის დროზე, ასევე, მას უნდა აეხსნა პროცედურები ეკონომიკის სამინისტროსთვის.

ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ სკოლა ინფორმირებული იყო ყველანაირი პროცედურის შესახებ და მიზანმიმართულად დაარღვია კანონი, რადგან ზურგს ერთ ლარად შეძენილი შენობა უმაგრებდა.

რევაზ აფხაზავამ ექსპერტებს მიმართა კითხვით, უშლიდა თუ არა ხელს გადაჭაბებული რაოდენობა სასწავლო პროცესის მსვლელობას, ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ადგილი საკმარისი იყო მოსწავლეების მომსახურებისთვის.

რევაზ აფხაზავამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას ბაზაში მყისიერად უნდა დაეფიქსირებინა კონტინგენტის გადაჭარბება და არ მიეცა საშუალება ზედმეტი მოსწავლეების ჩარიცხვისა.

საბჭოს წევრმა ქეთევან ჭკუასელმა დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ კონტინგენტის განსაზღვრა გამომდინარეობდა სკოლის არსებული ფართიდან, სივრციდან რაც საკმარისი უნდა ყოფილიყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის, ანუ გამომდინარეობდა მოსწავლეების ინტერესებიდან, და მსგავსი დარღვევა ეჭვქვეშ აყენებდა მოსწავლეზე ორიენტირებულობას.

სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ შენობის რეაბილიტაცია დასრულდა 2014 წელს შემდეგ დაიწყეს სასწავლო პროცესი, თუმცა აღიარებდა რომ ცენტრისთვის თავის დროზე უნდა მიემართა.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლევან მადათოვმა განაცხადა, რომ „ავტორიზაციის დებულების" თანახმად კონტინგენტის გადაჭარბება წარმოადგენდა ავტორიზაციის გაუქმების საფუძველს.

საბჭოს წევრმა, ირინა ხანთაძემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვით, თუ იყო მისთვის ცნობილი ამის შესახებ. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ის იცნობდა დებულებას.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა-ნიკესთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს მომავლის სკოლას (ს/კ: 24556300) უარი ეთქვას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე.

საკითხის სირთულიდან გამომდინარე, საბჭოს წევრებმა იმსჯელეს, და წარმოადგინეს შუამდგომლობა, საკითხი დაეყენებინათ შემდეგნაირად - კენჭი ეყარათ დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, ამასთან გაუქმების გადაწყვეტილება ძალაში შევიდოდა სასწავლო წლის ბოლოს, 2016 წლის 12 ივნისს. თავმჯდომარემ დაამატა, რომ სკოლას დამატებით არ უნდა მიეღო მოსწავლეები.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა-ნიკესთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს სკოლა-ნიკეს 2016 წლის 12 ივნისიდან გაუუქმდეს ავტორიზაცია.

ირინა ხანთაძემ განაცხადა, რომ აჭარის მთავრობისგან იმდენად დიდი მხარდაჭერა ჰქონდა სკოლას და იმდენად მარტივად შეიძლებოდა ეს პრობლემა არ დამდგარიყო, მაგრამ სკოლამ ასე არ გააკეთა და 129 მოსწავლის უკანონოდ ჩარიცხვაზე რეაგირების არ ქონა არაფრით არ შეიძლებოდა.

სკოლის წარმომადგენელი დაინტერესდა, თუ არ ზრდიდნენ კონტინგენტს, ზედმეტად ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ როგორ მოქცეულიყვნენ.

საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ სკოლას თავად უნდა მოეგვარებინა აღნიშნული საკითხი, და მოუწოდა კონსულტაციები გაევლოთ იურისტებთან, სამინისტროსთან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან და დაეცვათ კანონის მოთხოვნები.

4. ა(ა)იპ - ქობულეთის წმიდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ნოდარ ანგურიძემ და ნინო ბალანჩივაძემ. ექსპერტის განცხადებით, დღევანდელი მდგომარეობით სკოლაში სწავლობდა 420 მოსწავლე რითაც სკოლას დარღვეული ჰქონდა ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 23 თებერვლის N51 გადაწყვეტილების მოთხოვნები, რომლითაც მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრული იყო 334-ით. სკოლას დარღვევის შესახებ აცნობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2015 წლის 14 დეკემბრის MES 2 15 01304224 წერილით. კერძოდ სამინისტრო სკოლას ატყობინებდა, რომ 2012 წლის ოქტომბრიდან, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სკოლას სხვადასხვა დროს უფიქსირდებოდა ზღვრულ ოდენობაზე მეტი მოსწავლეთა ოდენობა, რის გამოც სკოლას ზედმეტად ჩაერიცხა ვაუჩერული დაფინანსების გარკვეული თანხა, რაც სკოლას უნდა დააბრუნებინა სახელმწიფო ბიუჯეტში. ამ გარემოებას სკოლა თავის საპასუხო წერილში ხსნიდა (N24, 24 დეკემბერი 2015) იმით, რომ კონტინგენტის მატება განაპირობა მოსახლეობის მოთხოვნამ და ითხოვდა, უკან დასაბრუნებელი თანხის გრაფიკის მიხედვით დაბრუნებას.

სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო გარემოს შექმნას უზრუნველყოფდა 48 პედაგოგი, რომელთაგან 8 უფროსი მასწავლებელი, 6 დამწყები მასწავლებელი, 6 საღვთო სჯულის მასწავლებელი იყო და დანარჩენი პრაქტიკოსი პედაგოგი იყო. პირადი საქმეების დათვალიერებით გაირკვა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში სკოლის 48 მასწავლებლიდან ვერ ჩაერთო 12 პედაგოგი.

საბჭოს წევრი ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა, რა მიზეზით არ იყვნენ აღნიშნული პედაგოგები პროფესიული განვითარების სქემაში ჩართულები. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული 12 პედაგოგიდან 7 მასწავლებელი იყო საღვთო სჯულის მასწავლებელი, ხოლო 6-დამრიგებელი. მათი განმარტებით, ისინი დაუკავშირდნენ ადგილობრივ რესურს ცენტრს, სადაც უთხრეს, რომ მასწავლებლებს, რომლებსაც არ ჰქონდათ სტაჟი, ვერ ჩაერთვებოდნენ პროფესიული განვითარების სქემაში. საბჭოს წევრის, ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, 2015 წლის 20 სექტემბრამდე ყველა პედაგოგს შეეძლო სქემაში ჩართვა, არ ჰქონდა მნიშვნელობა ჰქონდათ თუ არა მათ სტაჟი.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ სქემა კიდევ ერთხელ იყო განხსნილი 20 დეკემბერს კერძო სკოლებისათვის, რათა დარეგისტრირებულიყვნენ მასწავლებლები, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ სქემაში ჩართულები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული პედაგოგებიდან, 2 მუსიკის მასწავლებელი იყო, რომლებიც ვერ მოხვდნენ სქემაში და 2 დამრიგელი, რომლებიც არ

ასწავლიდნენ საგნებს. (ე.წ. გამოთავისუფლებული დამრიგებლები). დაწესებულების განცხადებით, მათ შეეძლოთ, რესურს ცენტრისგან გამოეთხოვათ წერილობითი დასტური მათ მიერ მოპოვებული ინფორმაციის შესახებ.

საბჭოს წევრი, ირინა ხანთაძე დაინტერესდა რას გულისხმობდა, სტაჟის გარეშე, დამწყები მასწავლებელი. ხათუნა ბარაბაძის განმარტებით, ისინი ვინც სექტემბერში დაიწყო მუშაობა, იყვნენ დამწყები მასწავლებლები. მართალია კერძო სკოლებს არ ეხებოდა სქემაში შესული ცვლილება მასწავლებლების დაქირავებასთან დაკავშირებით, თუმცა თუ მასწავლებელი სქემის ნაწილი იყო, ექმნებოდა საგნის ჩაბარების ვალდებულება.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, იყო თუ არა საკმარისი ინფრასტრუქტურა არსებული მოსწავლეების რაოდენობისათვის. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა საკმარისზე მეტი რესურსი. საბჭოს წევრი, რევაზ აფხაზავა დაინტერესდა იმით, თუ რატომ არ შემოიტანა დაწესებულებამ განაცხადი კონტინგენტის გაზრდის თაობაზე.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ქობულეთის რეგიონის რელიგიური თავისებურებების გათვალისწინებით, ამ ადგილას სასულიერო სკოლის გახსნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. თავდაპირველად სკოლას მხოლოდ 70 მოსწავლე ჰყავდა. 2012 წლის თებერვლიდან 2012 წლის ბოლომდე მოსწავლეთა რაოდენა 334-დან 384 ბავშვამდე გაიზარდა. სკოლის წარმომადგენელი, რომელიც დაწესებულების სასწავლო ნაწილს წარმოადგენდა, 2015 წლის სექტემბერში დაინიშნა აღნიშნულ თანამდებობაზე, შესაბამისად მხოლოდ ამის შემდეგ აღმოაჩინა, რომ დაწესებულებას დარღვეული ჰქონდა ავტორიზაციის დებულება. მისი თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეუფე კირიონმა მას განუმარტა შემდეგი: დაწესებულებას 2012 წლის მარტში გადახდილი ჰქონდა კონტინგენტის გაზრდისათვის შესაბამისი გადასახადი.

ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ლაშა მარგიშვილის განმარტებით, ცენტრში დაწესებულების გადახდის ქვითარი ვერ მოიძებნა.

დარღვევის აღმოჩენის შემდეგ, დაწესებულებამ გაგზავნა წერილი სამინისტროში აღნიშნული დარღვევის თაობაზე და ამის შემდეგ შემოიტანა განაცხადი ცენტრში კონტინგენტის გაზრდის მიზნით.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 18:21 საათზე
საბჭოს სხდომა განახლდა 18:43 საათზე

საბჭოს წევრების განმარტებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დაწესებულებამ დარღვევის აღმოჩენისთანავე საკუთარი ინიციატივით მიმართა სამინისტროს და ასევე შემოიტანა განაცხადი კონტინგენტის გაზრდის თაობაზე, კონტინგენტის გაზრდის საკითხი შეიძლებოდა განხილულიყო. საბჭოს წევრები დაინტერესედნენ, რამდენ მოსწავლემდე სურდა სკოლას კონტინგენტის გაზრდა.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, მათ სურდათ მოსწავლეების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრა. ექსპერტების განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა ამ რაოდენობის მოსწავლისათვის შესაბამისი რესურსი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლური ცენტრისთვის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ქობულეთის წმინდა მღვდელმოწამე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II სახელობის საგანმანათლებლო მართლმადიდებლურ ცენტრში (ს/კ: 247009801) მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 500-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 18:50 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირინა აბულაძე

მდივანი
თამარ ფხალაძე